№ 115 14 თიბათვე, ოთხშაბათი 1866—1878 14 თიბათვე, ოთხშაბათი № 115

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тиф. лисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: ლიტი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცერო თით—5 კაპ., პატარა 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდილი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი ივნისიდამ გაზეთი წლის დამლევამდინ ღირს—5 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

## ტელეგრამმები

პეტერბურღის ბირჟა, 13 ივნისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 98—50 |
| მეორესი — — — — | 96— „ |
| მესამესი — — — — | 96—15 |
| მეოთხესი — — — — | 96 — „ |
| აღმოსავლეთის — — | 94—87 |
| ოქრო, ½ იმპერიალი— | 7—96 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „— „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 238—75 |
| მეორე სესხის — — — | 233—50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი— | 24—32 | პენსი |
| ამსტერდამი— | 123—75 | ცენტი |
| ჰამბურგი— — | 208—„ | პფენიგი |
| პარიჟი — — | 254—„ | სანტიმი |

## საქართველო

### დღიური

*** გამოვიდა მესამე ნომერი იმ ჟურნალისა, რომელსაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოება აბეჭდინებს. ამ წიგნში, სხვათა შორის, დაბეჭდილია თ. რაფ. ერისთვის საინტერესო სტატია იმის თაობაზედ—თუ როგორ უნდა გაისალოს ადგილობრივი ღვინო და როგორ შეიძლება კარგი ღვინის დაყენება ჩვენში.

*** გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა იმაზედ—თუ რამდენი მცხოვრები ყოფილა აფხაზეთში ომიანობამდინ და რამდენი დარჩენილა ახლა, ომიანობის შემდეგ, როცა ერთი ნაწილი აფხაზეთის ხალხის სოხუმში გამოსულ ოსმალოს ჯარს გაჰყვა და ოსმალეთში გადაესახლა. ამ ანგარიშიდამ ეტყობულობთ, რომ.

ოჩამჩირის მაზრაში ომიანობამდინ ყოფილა:

სამურზაყანოს უჩასტკაში—11,920 კომლი (24,461 სული); ამ უჩასტკიდამ არც ერთი არ გადასახლებულა; კოდორის უჩასტკაში იყო 3,935 ოჯახი, ამ რიცხვიდამ გადასახლებულა 1,071 ოჯახი.

პიწვინტის მაზრაში:

გუმისტინის უჩასტკაში, ომიანობამდინ იყო 2,221 კომლი (9,985 სული); მთელი ეს მაზრა გადასახლდა ოსმალეთში.

გუდაუტის უჩასტკაში ცხოვრებდა 5,293 კომლი (23,545 სული); აქედამ გადაესახლა—1,518 კომლი (6,385 სული.)

ამ ნაირად მთელს სოხუმის სამხედრო მაზრაში ომიანობამდინ ითვლებოდა 54,509 სული ორივე სქესისა და ამ

## ფელეტონი

### ანგარიშიანი სიყვარული

—

შუადღიდამა ცხენებზედ ვსხედვართ;
აგერ დაბინდდა... ამოდის მთვარე
და მის სხივებით სრულად განათდა
მყუდროებითა დამტკბარი არე.

—

სატრფო კი კვალად მიაქროლებდა
კოხტად შეკმაზულს პატარა ცხენსა
და ტკბილის ხმითა შეღიღინებდა
ბადრსა მთვარესა, სხივის მომფენსა.

—

დიდხანს ვადევნე ლამაზსა თვალი,
რომ შემემჩნივა რამე მისთვისა;
მაგრამ ის იყო მხოლოდ ტრფიალი
ჩემი კი არა—ბადრი მთვარისა!

—

ველარ გაუძელ ტრფობისა ძალას,
გამოვეკიდე, მოვწიე ცხენი
და ვუთხარ. „—ტურფავ! რას ითხოვ
ჩემგნით,
„რომ მე მაკუთვნო მთლად გული
შენი?“

—

მან შემომხედა, გადმომკრა თვალი
და მითხრა: „—ჩემი გსურს ტრფიალება?
„თუ გაქვს ურიცხვი შემოსავალი,
„ეს ჩემი გულიც შენი იქნება!“

ი. რომანიძე

### უანგარო სიყვარული

—

ნუ მკიცხავ, ჩემო მშობელო,
რომ მისკენ რბის ჩემი გული;
უმისოთა, კეთილო,
არს სიცოცხლე უფერული.

—

მე თვით არ ვიცი ვით მოხდა,
რით შეიპყრა მან ეს გული,
რომ მძინავს, თუ მღვიძარე ვარ,
მაზედ ფიქრით ვარ მოცული?!

—

მისის ტრფობით მეწვის გული,
თითქოს ცეცხლი მეკიდება;
ყველა მაქვს დავიწყებული
მხოლოდ იგი მაგონდება.

—

მართალია, ღარიბია,
სხვაფრივ კია კაცი სრული;
მე მინდა ქმრად კაცი მყავდეს
და არ ბრიყვი მდიდრის ფული.

—

შემიბრალევი, მშობელო,
რათ გსურს გული მეტანჯოდეს?
სჩანს ბედი ჩემი ეს არის,
რომ მე ის უნდა მიყვარდეს...

სოსიკო მაქრაძე

რიცხვიდამ 21,190 სული გადასახლდა.

მაშასადამე თუ ეს ანგარიში ნამდვილი, ამ მაზრაში დარჩენილა კიდევ—33,319 სული მცხოვრები.

*** ამ თვის 9-ს კავკასიის ტეხნოლოგიურს საზოგადოებაში ინჟინერმა პალიბინმა სთქვა რამდენიმე სიტყვა იმ ცხენისრკინის გზის თაობაზედ, რომელზედაც ერთ დროს ჩვენი ქალაქის რჩევაში იყო ხანგრძლივი მოლაპარაკება.

ბ. პალიბინის აზრით, ქალაქისათვის ორი გზა იქნება საჭირო: ერთი რკინის გზის სტანციიდამ გამოვლის მუშტაიდზე, მიხაილოვის შოსსეზე, კუკიის ხიდზე და აქედამ თამამშევის ქარვასლამდის; მეორე—რტო—კუკიის ხიდიდამ რიყეზე მტკვრის ნაპირად უნდა იქნეს გაყვანილი და ხიდით უნდა გამოვიდეს პირ-და-პირ შუა-ბაზარში ქარვასლებთან.

სულ ეს გზა, ათი ვერსი რომ ვიანგარიშოთ და საჟენი 18 მანეთად 60 კაპ. დაჯდეს, ეღირება დაახლოებით 150,000 მანეთად, და ვინც ამ ცხენის-რკინის გზას გამართავს, პირველ წელიწადებში 11% ექნება შემოსავალი და მერე მომეტებულიცაო.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი შემთხვევა, რომელიც ამ დღეებში მომხდარა: ერთი ვიღაცა ქალაქში ახლად ჩამოსული ქალი შესულა სოლოლაკში ძაფის მაღაზიაში რაღაცეების საყიდლად. ორ კინტოს შეუნიშნავს, რომ იმ ქალს სუმკა ჰქონია და შესულა თუ არა მაღაზიაში, ეს სუმკა იქვე სტოლზე დაუდვია; იმ წამსვე ერთს ამ კინტოთაგანს აუღია ძაფი ხელში შესულა იმ მაღაზიაში, უჩვენებია ეს ძაფი მაღაზიის პატრონისათვის და უთქვამს, ამისთანა ძაფი მომეციო. როცა ის ძაფის საძებრად გაბრუნებულა, კინტოს დაუვლია ხელი სუმკისათვის და თითქო აქ არა არის-რაო, გამოსულა იქიდამ და, თუმცა ბევრი უძებნიათ მაგრამ ვეღარ უნახავთ. ხსენებულს სუმკაში ყოფილა: იმ ქალის პასპორტი და სხვა დოკუმენტები და თან 25 მან. ფული.

*** ამ დღეებში გამოვიდა ვიღაც უფ. აზპატელოვისაგან შედგენილი რუსული ენის სასწავლებელი წიგნი. ესეც იმ გვარ სახელმძღვანელო წიგნებს ეკუთვნის, როგორებსაც აბეჭდვინებს პატივცემული და გამოჩენილი ტერ-ბაბო ბაბრიელიანცი, ე. ი. უშნო, უაზრო და ბრიყული. ფასიც რომ ძვირია, ორი ბეჭდვის, თაბახი—ერთი აბაზი; მაგრამ რაც უფრო ძვირად ღირს ამისთანა წიგნები, ის უკეთესია...

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ თ. რაფ. ერისთვის მცენარეთ (ბოტანიკურ) ლექსიკონს ხელ-მეორედ აბეჭდვინებს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაო. როგორც გვითხრეს, ახალი გამოცემა შეცვლილი და შევსებული იქნება, ბევრი ახალი მცენარეების სახელი არის ჩამატებულიო; სულ ათას მცენარეზე მეტი არის მოყვანილიო.

---

## „დროების" კორრესპონდენცია

---

**დ. ხონი, 7 ივნისს.** კარგი პატარა დაბაა ეს ჩვენი ხონი; თუმცა მდინარე წყალს მოკლებული ვართ, მაგრამ ნაცვლად მდიდარი ვართ მშვენიერი ცივი ჭის წყლით; თუმცა ბაღი არა გვაქვს, მაგრამ მაგიერად აქ ერთ დროს ვრცელი და ეხლა კი დროთა ბრუნვისაგან შევიწროებული მინდორია, რომელსაც ლამაზად ამშვენებენ რწყვილ-რწყვილად მდგომი ჭანდრების და ცაცხვის ხეები თავისი ფართო ჩრდილით... ერთის სიტყვით, მშვენიერი მდებარეობა აქვს ამ ჩვენს ხონს. შემკობილია როგორც ახალ გასათხოვარი პატარძალი. ნემეტურ საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს აქ გაზაფხულის და ზაფხულის დილა-საღამოს გასეირნება, — ამ გასეირნების დროს, რაც უნდა ცუდ გუნებაზედ იყვეთ, მაინც სტკბებით რაღაც გაუგებარ სიამოვნებით. მაგრამ გავათავოთ ეს ბუნების სიმშვენიერის აღწერა და შევუდგეთ იმ საგანს, რომელიც ამ ჟამად გვაწუხებს ჩვენ და რომელზედაც რამდენიმე სიტყვა მინდა მოგახსენოთ.

ჩვენი ხონის შკოლა შესდგება ორის კლასისაგან. პირველი კლასი განიყოფება კიდევ ორად, რადგან 1875-ს წ. ძლიერ სივიწროვეს ვგრძნობდით ამ შკოლაში, ასე რომ მსურველები ბევრი იყო, მაგრამ სივიწროვის გამო, უარს ეუბნებოდნენ. ამ დროს აქ დაგვესწრო დირექტორი სასოფლო შკოლებისა უ. ტროიე და მისცა რჩევა ჩვენი შკოლის მზრუნველს მ. ვ. ქ—ძეს, რომ მას მიეცა საზოგადოებისათვის წინადადება პირველი კლასის მეორე განყოფილების გახსნისა და ცალკე მასწავლებლის დაქირავებისა. ამ საგანზედ, უ. ზედამხედველის თაოსნობით და მამასახლისის შემწეობით, მალე შესდგა ყრილობა და კიდევაც დაიდვა განჩინება, რომ გაიხსნას მეორე პირველი კლასი და იქნეს ცალკე მასწავლებელი დაქირავებული, რომელსაც ჯამაგირი დაენიშნოს სწავლისათვის შაგირდებისაგან; შემოტანილ ფულებიდამ; სწავლის სიმართლისათვის შემოსატანი ფული ნაცვლად სამის მანათისა გავხადეთ ხუთ მანეთად.

ეს განჩინება საზოგადოებისგანით ხელ-მოწერილი და მამასახლისისგან დამოწმებული უ. ზედამხედველ-მზრუნველმა შკოლისამ და რამოდენიმე საზოგადოების წევრმა წარუდგინეს სასოფლო შკოლების დირექტორს, წარსადგენად სადაც ჯერ არს. არ გაუვლია დიდ ხანს, ჩვენი განჩინება დამოწმებული მოვიდა, რომლის ძალით გავხსენით მეორე პირველი კლასი და კიდევაც დავიქირავეთ ცალკე მასწავლებელი ერთი აქაური ახალგაზდა.

მაგრამ საუბედუროთ ამ მასწავლებელს აგერ იქნება ოთხი თვე არ უვლია შკოლაში, როგორც ამბობენ, ავათმყოფობით და ამის შაგირდები შეუერთდენ უწინდელ პირველ კლასს.

ეხლა, როგორც დამარწმუნა თვითონ უ ზედამხედველმა, ეს განყოფილება ისევ დაუხურავთ. ვერ გაგვიგია! თუ ეს განყოფილება საჭირო არ იყო, რისთვის გაგვახსნევინეს?! და თუ საჭირო იყო, რისთვის დაგვიხურეს?! თუ ამ მასწავლებელმა მიატოვა, განა მის მეტი მასწავლებელი არ იშოვებოდა! ახლა ამ შკოლაში არის სამი მასწავლებელი, მაგრამ არავითარი წესი სასწავლებელში არ არის; სწავლა იწყება დროს განურჩევლათ—ხან რვა საათზედ, ხან ცხრაზედ, ხან ათზე და ხან თერთმეტზედაც. ხშირათ მინახავს, რომ შაგირდები კლასში შეიხმეს ზარის რეკით და თვითონ მასწავლებლები კი დაბრძანდიან გარეთ და ნახევარ საათს, და ხან მეტსაც, ტკბილ მუსაიფს შეექცეოდნენ.

სასწავლებლებში ყოველ დღე, გარდა შაბათისა, ხუთ-ხუთი გაკვეთილი უნდა იყოს, მაგრამ აქ მთელი ზამთარი ისე გავიდა ოთხი გაკვეთილი იშვიათად ჰქონდა შაგირდებს. მომეტებულად ორი და ხან სამი გაკვეთილი. სწავლის გათავების დროც ისრე განურჩევლად არის, როგორც დაწყებისაც: უ. ზედამხედველი მაშინ გაუშვებს შაგირდებს, რა დროსაც მისი სადილი გზათ იქნება, რომელსაც ხშირათ მოიკითხავს თურმე გაკვეთილის დროს.

კლასის ოთახები კვირაში ორჯელ არ დაიგვება, სრულიად მტვერით არის ხოლმე დაფარული პოლი; რისთვის უნდა იყოს ეს მაშინ, როდესაც კლასის სტოროჟისათვის თორმეტი თუმანია, ვგონებ, დანიშნული?

მთელი ზამთარი ისე გავიდა, რომ ორჯელ არ ნთებიათ შაგირდებს ცეცხლი და დაყინული მიდიოდნენ სახლში. წარმოიდგინეთ, რას ისწავლის ტვინ-გაყინული შაგირდი და ან რას ასწავლის უარესად შეწუხებული სიცივისაგან მასწავლებელი?"

თითქმის ამ გვარივენი არიან დანარჩენი ორი მასწავლებელნიც ჩვენის შკოლისა, ე. ი. სამღვთო წერილისა და პირველი კლასსის მასწავლებელნი, რომელნიც გასაკვირველის გულ-გრილობით და გულ-ავარდნით ეკიდებიან თავიანთ წმინდა თანამდებობის აღსრულებას.

ახლა ერთი მითხარით, ამისთანა მასწავლებლების ხელში რა სწავლა და ზნეობითი გახსნა უნდა შეიძინონ ხონის შკოლის შაგირდებმა?..

ხონელი

## წერილი რედაქტორთან

ბორი საცხოვრებლათ ზაფხულობით კარგი ადგილია, რადგანაც წყალი, ჰაერი და მდებარეობა უვარგა.

აქის გამო იქნება განიზრახოთ ვინმემ და მობძანდეთ აქ ზაფხულობით საცხოვრებლათ? მაგრამ მხედველობაში კი უნდა იქონიოთ ყველამ, რომ აქ კუჭს ვერ გაიძღობთ: თუ ძრიელ დილით მიხვალთ საყასბოში ხორცისთვის, ყასაბი გეტყვით: —ამ დილით ხორცი ვინ მოგვცა, ქალაქს გარეთ ვხოცამთ საქონელს, ჯერ არ მოგვიტანიაო! და თუ პატარა დაიგვიანეთ, სხვას გიპასუხებს ყასაბი:— ქნიაზი ხომ არ ბძანდებით, შუადღისას ჩალალაჯი მოგართვაო!

აჰნაირი ამბები გახლავს ბორში. ამათთვის რიგის მიმცემი არც გამგეობა, არც პოლიცია არ არის.

სხვა ხორაგეულს ხომ ცეცხლი უკიდია. ვინც კი იცნობთ ბორის გამგეობის ერთს ჩლენს უფ. გ. დ—ვს, იმათ კი შეგიძლიანთ მობრძანდეთ აქ საზაფხულოთ, რადგან იმის წყალობით კი ყოველთვის შეგიძლიანთ ხორცი და სხვა ხორაგი იშოვნოთ.

ამ უფ. დ—სთვის ყოველთვის შენახულია ყაპებისაგან ხორცი, თუ ბაყლებისგან ხორაგი.

იქნება მკითხოთ: ეს ერთი ჩლენი რა ბატონიაო, რატომ სხვა ჩლენებს არ უნდა უნახავდნენო, გავლენა ჩლენებს ხალხში რატომ ერთნაირი არ უნდა ჰქონდეთო? არა, ბატონებო, ეს სხვა ჩლენი გახლავს, ეს ჩლენიც გახლავს და სტაროსტაცა.

მთავრობისაგან შემოწერილი იყო ბორზედ მელიციონერების აკრეფა, პირველათ 21 კაცისა, მეორეთ 4 და მესამედ 13 თავის 13-ის კანდიტატით. ზემოხსენებულ გამგეობის წევრმა 62 კაცზედ აჰყარა კენჭი. აქედგან რაც საჭიროა, ხომ გაიგზავნება თვის ალაგას და რაც მეტია, თავისუფლათ არიან... საკუთრათ ყასაბთაგანი, სამი ძმიდგან, ვითომ ავათმყოფობის გამო, არ ცერთი იგზავნება. რისათვის? მისთვის, რომ უფ. დ—ვს ისინიც სამაგიეროს უხდიან. .

ბორი, 10 ივნისს.

# ომის ამბები

## ომის შემდეგ

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 2 ივნისს არზრუმიდამ მიღებული:

„გუშინ ჩვენი ქალაქი მიეგება დიდის ამბით კორპუსის უფროსს ღენერალ ლაზარევს. იმის მოსვლამ გაამხნევა აქაური ქრისტიანები და მაჰმადიანების შიში აღარა აქვთ ახლა. დიდით-პატარამდის გაეგებნენ არზრუმიდამ იმის მისაგებებლად. იმავე დღეს დახედა ჯარები და რამდენიმე გამამხნევებელი სიტყვა უთხრა იმათა.“

„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ არზრუმიდამვე იწერებიან:

„არზრუმის გარნიზონს შეადგენდა დღემდის მხოლოთ მე-39 ქვევითა დივიზია. მაგრამ, რადგან აქეთკენ შიშია, რადგან რუსები ხედავენ, რომ ოსმალები რაღაც მზადებაში არიან, ამის გამო ღენ. ლაზარევმა მიიხმო იქ კავკასიის გრენადერის დივიზია და ამას გარდა კიდევ ოთხი ბრიგადა, რომელიც ყარსს, ალექსანდრაპოლსა და ჰასსან-ყალას შუა იდგა.

„ამბობენ, რომ ღენ. ლაზარევი ამ მოკლე ხანში ახალ ჯარებს ჰგზავნის ბათუმისკენაო; არტაანშიაც საომრად ემზადებიან. არტაანის ატრიადის უფროსად ღენ. კომაროვი არის დანიშნული“.

იმავე კორრესპონდენტის სიტყვით, რადგან მტრისაგან თავ-დასხმის შიში არის არზრუმისაკენ, ამის გამო რუსებმა ურმები დაიჭირეს და გამოგზავნეს იქაურ ჰოშპიტლებიდამ ავათმყოფები; მაგრამ მეურმეებმა (მაჰმადიანებმა) შუა გზაზე გამოხსნეს თურმე ურმებს ხარები და ავათმყოფები უპატრონოთ დაჰყარეს.

როგორც ჩვენკენ მცირე აზიისაკენ, აგრეთვე ევროპის ბრძოლის ველისკენაც რუსები საომრად ემზადებიან. გაზეთის „პრესსის„ ადრიანოპოლელი კორრესპოდენტი გვაცნობებს, რომ აქაურ რუსის ბანაკში დიდი მოძრაობა და ფაცა-ფუცი არისო, ზოგი ჯარები შედიან და ზოგი გამოდიანო, თვითონ ქალაქს ამაგრებენ გარშემო ციხეებით და თხრილებითაო, სურსათს ამზადებენ, თოფ-იარაღი და ზარბაზნები მოაქვთო და სხ. და სხ.

გაზეთის „გოლოსის“ კორრესპონდენტი იწერება სან-სტეფანოდამ, რომ თითქმის ყველა ჩვენს ჯარებში, რომელნიც ევროპის ბრძოლის ველზე დგანან, სოფლე და ციება არის გავრცელებული და ბევრ ხალხს ხოცავსო.

დოქტორს პრისელკოვს მოჰყავს ოფიციალური ანგარიში რუსეთის არმიის ავათმყოფობისა, რომლიდამაც სჩანს, რომ ბალკანის მთების აქეთა და იქითა მხრის ჯარებში ამ ჟამად სულ 52, 426 კაცი ყოფილა ავათ. ჯარის ჯანმთელობისა და კარგათ რჩენისათვის ყოველგვარი სახსარი არის მიღებულიო.

ზემოხსენებულსავე გაზეთში იწერებიან ადრიანოპოლიდამ, რომ რუსის სამხედრო მთავრობამ 90 ინტენდანტის ჩინოვნიკი და პოდრიადჩიკი მისცა სისხლის სამართალში, რადგან ამათ ხაზინის გაქურდვა და უპატიოსნოთ თავის მოვალეობის ასრულება ჰბრალდებათო.

რუსეთსა და რუმინიას შუა ამ ჟამად ისეთი ცუდი განწყობილება არის ბესსარაბიის გამოისობითო, ამბობს გაზეთი „გოლოსი“, რომ, თუ ხელ-ახლად ომი ატყდა, რუმინია, უეჭველია, რუსეთის მოპირდაპირე მხარეს მიეკედლებაო.

## კონგრესსი

ბერლინის გაზეთებში იწერებიან, რომ რუსეთის სამხედრო მთავრობამ ერთხელ კიდევ მოსთხოვა ოსმალეთს შუმლის, ვარნისა და ბათუმის დათმობაო, მაგრამ ოსმალოს მმართებლობამ გამოუცხადაო, რომ დღეის შემდეგ მე მხოლოთ კონგრესის გადაწყვეტილებას დავემორჩილები და ვალდებულად აღარ ვხდი ჩემს თავსო, რომ სან-სტეფანოს მორიგების პირობები კანონერად აღვიაროვო.

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი, ბერლინიდამ 5 ივნისს მიღებული:

„კონგრესის წევრებს ჰქონდათ დღეს მოლაპარაკება ბოლგარიის ორ ნაწილად გაყოფაზედ. მომეტებული ნაწილი იმ ჰაზრისანი აყვნენ, რომ ამ გვარის გაყოფით საქმე არ გაკეთდებაო, ორი ნაწილი ბოლგარიისა მუდამ შეერთებას და ერთ სამთავროდ გახდომას ეცდებიანო და ამის გამო შემდეგში კიდევ ბალკანის ნახევარ-კუნძულზე არეულებას უნდა მოველოდეთო.

„როგორც ამ შემთხვევაში, აგრეთვე თითქმის ყველა საგნების შესახებ ინგლისისა და ავსტრო-ვენგრიის წარმომადგენელნი თანხმადა და ერთნაირად მოქმედებენ კონგრესზე“.

„Indép. Belge“-ის ბერლინელი კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ ამ დღეებში აქ მოვიდა სომხების დელეგატი არხიეპისკოპოსი ხორენ-ნარბეი, რომელიც კონგრესსის წინაშე ცდილობსო, რომ ოსმალეთის სომხებს თავის საკუთარი მმართებლობა (ავტონომია) ექმნეს მინიჭებულიო.

„ვოლფის სააგენტოში“ იწერებიან სტამბოლიდამ, ვითომც ბერლინში მყოფს ოსმალეთის დელეგატებს სტამბოლიდამ მიუვიდათ მოწერილობა, რომ, თუ კონგრესმა გადაწყვიტა თესალიის და ეპირის საბერძნეთთან შეერთება, ამ შემთხვევაში დელეგატებმა უნდა მიატოვონ კონგრესსი და დაბრუნდნენ სტამბოლში, და ოსმალეთის მმართებლობა კი გამოაცხადებს მაშინო, რომ ის შეასრულებს მხოლოთ სან-სტეფანოს მორიგების პირობებს და არა ბერლინის კონგრესსის გადაწყვეტილებას.

# ნარევი

მაისის 29-ს გამოჩენილ მწერალ ლუი ბლანთან შეკრებილან რამდონიმე სენატორები, დეპუტატები და მწერლები და გადაუწყვეტიათ, რომ ჟან-ჟაკ რუსსოს ასი წლის იუბილეიც ისეთისავე ამბით იდღესასწაულონ პარიჟში, როგორც ვოლტერის იუბილეი იდღესასწაულეს. ეს დღესასწაულობა ამ წლის 20 ივნისისათვის არის დანიშნული.

* * *

პარიჟის მსოფლიო გამოფენაში მოგროვილ მწერლებმა კონგრესი გამართეს. შეადგინეს კონგრესის გამმართავი კომიტეტი, თავმჯდომარედ ამოირჩიეს ვიქტორ ჰიუგო, მოამზადეს საგნები, რომელზედაც კონგრესს უნდა მოელაპარაკა და დანიშნეს კონგრესის შეკრების დღე.

30 მაისს ტროკადეროს ლექციების საკითხავ ზალაში შეკრებილან 300-მდინ მწერლები და ჟურნალისტები და ედმონ აბუს გაუხსნია სხდომა. კონგრესსი მოილაპარაკებს: ა) ლიტერატურულ თხზულებების კუთვნილებაზე (ამ საგნის შესახებ კანონებზე), ბ) თარგმნისათვის რა უნდა მიეცეს თხზულების პატრონს და გ) იმაზედ—თუ როგორ გააუმჯობესონ მწერლებისა და ჟურნალისტების მატერიალური მდგომარეობა.

*
* *

გაზეთს „გოლოსში“ იწერებიან ოდესსიდამ, რომ დუნაის რუსის არმიის საინტენდანტოს შესამოწმებლად დანიშნულმა კომისიამ, სხვათა შორის, აღმოაჩინა, რომ ერთის პოლკოვნიკისათვის ქარს ხუთი ათასი ჩეტვერტი (35,000 ფუთი) პური მოუტაცნია! ასე გაიმართლა ამ პოლკოვნიკმა თავი, როდესაც იმას ამ ფქვილის ანგარიში მოსთხოვესო. ქარმა მოსტაცა 5,000 ჩეტვერტიო!

# განცხადებანი


ისყიდება თფილისში „ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში“ ქართული

## „სამზარეულო წიგნი“

შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან.
ფასი ათი შაური.

(3—3)

გამოვიდა და ისყიდება

## „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

## ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

ქ. გორში არის ხუთ-თვალიანი გასაქირავებელი სახლი

უფ. ქურულისა თავის სამზარეულოთი, სარდაფითა და ეზოთი.

სახლი დგას როტონდის გვერდით. ფასისა და სხვა პირობების შეტყობა შეიძლება გორში უფ. ალალო თუთაევთან.

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თანდასწრებით ამ ივნისის 16-სათვის დანიშნულია ვაჭრობა გასასყიდლად საქალაქო მიწისა, რომელიც მდებარეობს კახეთის გზაზე, მე-2 განყოფილების მე-15 უჩასტკაში და შეიცავს 251 ოთხ-კუთხ საჟენს ადგილს, გამოსადეგს შენობის გასაკეთებლად.

(3—2)

ისყიდება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული სამზარეულო წიგნი“. შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

(4—2)

## ქირი

გასასყიდი, ვისაც ჰსურს, შეუძლიან იყიდოს ქუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, საცა ვ. ლ. პოტკოვის სპირტის სარდაფია, სახლის № 44.

(3—3)

## ახალი წიგნი

„ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ისყიდება: თფილისში—ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.


| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 83 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

ფოშტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| მაზანდა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 12 ივნისს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 40 |
| ფქვილი წითელი | 1 | 30 |
| ქერი ფუთი | 1 | 15 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | 50 |
| — თარაქამისა ფთ. | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი | 6 | 60 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 70 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 99 |
| — ცხვრისა, ლიტრა | — | 99 |
| სპირტი, ვედრო | 5 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 7 | 70 |
| — ფხვნილი ფუთი | 6 | 20 |
| ყავა გრგვალი, გირვ. | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

## თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ორშაბათს: ქიუჩარიანცი—ხირურგი, გარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტოვი—ბებიობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—თვალის და ოზრეხტი—კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Іюня 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.